NEW VISION UNIVERSITY

*წინამდებარე ფორმა გამოიყენება NVU-ის პროგრამის მოსამზადებლად. შევსებული ფორმა დასამტკიცებლად გადაეცემა უნივერსიტეტის საბჭოს. ცისფრად მონიშნული გრაფები მიუთითებს NVU-ის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციაზე და არ ივსება (თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული); ყვითლად მონიშნული გრაფების შევსება ნაბაყოფლობითია.*

## 1. ზოგადი ინფორმაცია

<table>
<tr><td colspan="2">პროგრამის დასახელება:</td><td colspan="6">ბიზნესის ადმინისტირება</td></tr>
<tr><td colspan="2">მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ძირითადი სპეციალობის მიხედვით):</td><td colspan="6">ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი</td></tr>
<tr><td colspan="2">პროგრამის მოცულობა კრედიტებით:</td><td colspan="2">240</td><td colspan="2">საკვალიფიკაციო ჩარჩოს დონე (VI, VII ან VIII)</td><td colspan="2">VI</td></tr>
<tr><td colspan="2">არსებული კონცენტრაციები:</td><td colspan="6">ბიზნესის ადმინისტრირება<br>დამატებითი კვალიფიკაცია: ინფორმატიკა; საერთაშორისო სამართალი; პოლიტიკა; საერთაშორისო ურთიერთობები</td></tr>
<tr><td colspan="2">პასუხისმგებელი სკოლა/სკოლები:</td><td colspan="6">ბიზნესისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სკოლა</td></tr>
<tr><td colspan="2">პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი:</td><td colspan="6">ილია კვიტაიშვილი</td></tr>
<tr><td colspan="2">სწავლების ენა</td><td colspan="6">ინგლისური</td></tr>
<tr><td colspan="2">პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონით გათვალისწინებული:</td><td colspan="2">ზოგადი საშუალო განათლების ატეს–ტატი და ერთიანი ეროვნული გამოცდე–ბი/ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სპეციალური წესი</td><td colspan="2">სხვა</td><td colspan="2">განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სპეციალური წესის შემთხვევაში: ინგლისური ენის ცოდნა B2 დონე</td></tr>
<tr><td>დამატებითი სპეციალობა:</td><td>დიახ</td><td>დისტანციური სწავლება</td><td>არა</td><td>გაცვლითი სტუდენტებისთვის ხელმი-საწვდომობა</td><td>დიახ</td><td>სამუშაო გამოცდილება/ დასაქმება:</td><td>არა</td></tr>
<tr><td>ხელმისაწვდომობა თავისუფა–ლი მსმენელე–ბისთვის:</td><td>დიახ</td><td>წინასწარი რეგისტრაციის მოთხოვნა</td><td>დიახ</td><td>სხვა</td><td>არა</td><td>სხვა</td><td>არა</td></tr>
<tr><td colspan="2">სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობა:</td><td colspan="2">ნაკადში 100 სტუდენტი</td><td colspan="2">შეცვლილი პროგრამა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):</td><td colspan="2">არ არსებობს</td></tr>
<tr><td colspan="2">სავარაუდო განხორციელების თარიღი:</td><td colspan="2">2016 სექტემბერი</td><td colspan="2">შეთავაზების თარიღი:</td><td colspan="2">26.02.2016</td></tr>
</table>

NEW VISION UNIVERSITY

## 2. მიზნები და სწავლის შედეგები

| | |
|---|---|
| მიზნები: | პროგრამა უპირატესად შემუშავებულია იმისათვის რომ სტუდენტებს შესთავაზოს მრავალმხრივი განათლება ბიზნესის მენეჯმენტის სფეროში. სტუდენტები მიიღებენ ცოდნას და გამოიმუშავებენ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს მენეჯმენტის, ფინანსების, ბუღალტერიის, მარკეტინგის და ბიზნესის კომუნიკაციის სფეროებში. პროგრამა საშუალებას აძლევს სტუდენტებს, გააკეთონ თავისუფალი არჩევანი შეთავაზებულ მრავალფეროვან საგნებს შორის, გაიფართოონ ცოდნა და სურვილის შემთხვევაში, მიიღონ დამატებითი კვალიფიკაცია სხვადასხვა შეთავაზებულ დარგში.<br><br>ამ პროგრამის ფარგლებში სტუდენტები გამოიმუშავებენ უნარ-ჩვევებსა და თავდაჯერებულობას, რათა იქცნენ გლობალური ბიზნესის სამყაროს ნაწილად. ისინი შეისწავლიან, თუ როგორ უნდა იყვნენ ინოვაციურები, ახლებურად გაიაზრებენ ბიზნესის თანამედროვე ასპექტებს. სტუდენტები გამოიმუშავებენ კომპეტენციებს, რომლებიც მოამზადებენ მათ პასუხისმგებელი მენეჯერების როლის შესასრულებლად სხვადასხვა ორგანიზაციასა თუ საწარმოში. |
| ზოგადი სწავლის შედეგები: | - საკითხის მრავალმხრივ მოგვარების უნარი;<br>- თეორიული ჩარჩოების გააზრებისა და შეფასების უნარი;<br>- შესაბამისი დამოუკიდებელი კვლევის გარკვეული ნაწილის განხორციელების უნარი;<br>- სათანადო პრაქტიკული სტრატეგიების განსაზღვრის უნარი<br>- სხვებთან ერთად მუშაობისას უნარ-ჩვევების განვითარების უნარი;<br>- სხვადასხვა სახის არგუმენტების ფორმულირების, ანალიზისა და შეფასების და მათი ლოგიკური და თანმიმდევრული სახით წარმოდგენის უნარი. |
| დარგობრივი სწავლის შედეგები: | **ცოდნა და გაცნობიერება**<br>- ბიზნესის ისეთი ძირითადი საბაზისო დისციპლინების ცოდნისა და გაცნობიერების უნარი, როგორებიცაა: მენეჯმენტი, მარკეტინგი, ფინანსები და ბუღალტრული აღრიცხვა;<br>- ბიზნესის ფუნქციური სფეროების ძირითადი კონცეფციების გააზრების უნარი;<br>- ბიზნესის ისეთი ძირითადი ფუნქციური სფეროების საქმიანობათა ფართო სპექტრის კრიტიკული ცოდნა და გაცნობიერება, როგორიცაა ინოვაციური მენეჯმენტი. |

| | |
|---|---|
| | **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი**<br>- ბიზნესის რეალური პრობლემების განსაზღვრისა და ფორმულირების, აგრეთვე პრობლემების გადაჭრის რაციონალური და ცოდნაზე დაფუძნებული გზების დაგეგმვის უნარი სტატისტიკური და ბიზნესმეთოდების გამოყენებით;<br>- ბიზნესის/მართვის პრობლემებისა და საკითხების მიმართ გადაწყვეტილების მისაღებად რეკომენდაციების და შემდგომი მოქმედებების განხორციელების უნარი. ბიზნესის მონაცემებისთვის შესაბამისი წყაროების განსაზღვრისა და შერჩევის უნარი.<br><br>**დასკვნის უნარი**<br>- ბიზნესთან დაკავშირებული პრობლემებისა და შესაძლებლობების განსაზღვრის, ანალიზისა და გადაჭრის და ქმედითი გადაწყვეტილებების მიღების უნარი;<br>- პრობლემების მიზნებისა და ალტერნატიული გადაწყვეტილებების შესაძლო შედეგების განმარტების უნარი;<br>- ორგანიზაციის ფინანსური ინფორმაციის, როგორც გადაწყვეტილების მიღების საფუძვლის, ანალიზისა და განმარტების უნარი<br><br>**კომუნიკაციის უნარი**<br>- მიზნის ნათლად განსაზღვრისათვის, წერილობითი და ზეპირი მოხსენებების მეშვეობით გასაგებად და დამაჯერებლად კომუნიკაციის უნარი, პროფესიული ტერმინოლოგიისა და პრეზენტაციის ადეკვატური საშუალებების გამოყენების დემონსტრირებით.<br><br>**სწავლის უნარი**<br>- სწავლისთვის საჭირო პირადი მოთხოვნების განსაზღვრის, გააზრების და გადაწყვეტის უნარი როგორც ზოგად, ისე პროგრამასთან დაკავშირებულ სფეროებში.<br><br>**ღირებულებები**<br>- სხვადასხვა საქმიან, ინტერპერსონალურ თუ სოციალურ სიტუაციაში საკუთარი ქცევისა და ბიზნესეტიკეტის გაცნობიერებისა და შესაბამისად ქცევის უნარი;<br>- ბიზნესეთიკასთან დაკავშირებული კონცეფციებისა და ბიზნესეთიკის საწარმოს მმართველობაზე ზეგავლენის გაცნობიერების უნარი. |

## 3. მოდულიზებული კომპონენტები სწავლის შედეგების ჭრილში

პროფილის შექმნისთვის საჭირო ელემენტები დაჯგუფებულია: ზოგადი კომპეტენციის (GC), ბიზნესის ადმინისტრირებისა და დამატებითი კვალიფიკაციების კომპონენტებად. ამასთან, ზოგად კომპეტენციასა და ბიზნესის ადმინისტრირებაში არჩევითი საგნების ნაცვლად ან მათთან ერთად სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა, დააგროვონ 60 კრედიტი დამატებით სპეციალობაში: ინფორმაციული ტექნოლოგიები, საერთაშორისო სამართალი, პოლიტიკა ან საერთაშორისო ურთიერთობები, საკუთარი არჩევანის საფუძველზე.

ზოგადი კომპეტენციის კომპონენტებიდან არჩეული უნდა იქნეს 3 სავალდებულო და, მინიმუმ 3 არჩევითი კომპონენტი საერთო ჯამში 36-48 კრედიტის დასაგროვებლად.

ძირითადი კვალიფიკაციის ფორმირებისთვის, ბიზნესის ადმინისტრირების კომპონენტებიდან არჩეული უნდა იქნას ყველა ძირითადი და არჩევითი კომპონენტების საკმარისი რაოდენობა მინიმუმ 120 კრედიტის დასაგროვებლად.

ყველა სხვა არჩევითი კომპონენტების კრედიტები შეიძლება გამოყენებული იქნეს საერთო 240 კრედიტის დასაგროვებლად; ინფორმაციულ ტექნოლოგიებში, საერთაშორისო სამართალში, პოლიტიკაში ან საერთაშორისო ურთიერთობებში 60 კრედიტის დაგროვების შემთხვევაში მინიჭებული იქნება შესაბამისი დამატებითი კვალიფიკაცია.

### 3.1 ზოგადი კომპეტენცია (GC)

| კოდი (პროგრამა–მოდული–კომპონენტი) | მოდულები და კომპონენტები: | სტატუსი (სავალდებულო/არჩევითი) | ECTS (შეთავაზებული სემესტრი) | ცოდნა და გაცნობიერება | ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | დასკვნის უნარი | კომუნიკაციის უნარი | სწავლის უნარი | ღირებულებები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| GC 0101 | კრიტიკული აზროვნება და ლოგიკა | ს | 6 (I) | √ | √ | √ | √ | √ | |
| GC0102 | წერა და ანგარიშგება წარმატებისთვის | ს | 6 (I) | √ | | √ | √ | √ | |
| GC0103 | კვლევის მეთოდები | ს | 6 (IV) | | √ | | √ | √ | √ |
| GC0104 | კომუნიკაცია და მოლაპარაკებები | ა | 6 (II) | √ | √ | √ | √ | √ | √ |
| GC0105 | პრეზენტაცია წარმატებისთვის | ა | 6 (II) | √ | | √ | √ | √ | |
| GC0201 | ფილოსოფიის შესავალი | ა | 6 (I) | √ | √ | √ | √ | | √ |
| GC0202 | მსოფლიო ცივილიზაციის ისტორია | ა | 6 (I) | √ | √ | √ | √ | | |
| GC0204 | სამართლის შესავალი | ა | 6 (II) | √ | √ | √ | √ | √ | √ |
| GC0205 | სოციოლოგიის და სოციალური ფსიქოლოგიის შესავალი | ა | 6 (III) | √ | √ | √ | √ | | |

## 3.2 ბიზნესის ადმინისტრირება (BA)

| კოდი (პროგრამა–მოდული–კომპონენტი) | მოდულები და კომპონენტები: | სტატუსი (სავალდებულო/არჩევითი) | ECTS (სემესტრის შეთავაზება სტუდენტის | ცოდნა და გაცნობიერება | დასკვნის უნარი | კომუნიკაციის უნარი | ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | სწავლის უნარი | ღირებულებები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| GC 0206 | კალკულუსი | ს | 6 (II) | √ | √ |  | √ | √ |  |
| GC 0207 | სტატისტიკის შესავალი | ს | 6 (IV) | √ | √ | √ | √ | √ |  |
| BIT 6102 | ბიზნესის სამართლებრივი გარემო | ს | 6 (I/II) | √ | √ |  | √ | √ |  |
| BIT 6104 | წრფივი ალგებრა და ანალიზური გეომეტრია | ს | 6 (I) | √ | √ |  | √ | √ |  |
| BIT 6106 | შესავალი მენეჯმენტის პრაქტიკაში | ს | 6 (II) | √ | √ | √ | √ | √ | √ |
| BIT 6209 | მარკეტინგის საფუძვლები | ს | 6 (III) | √ | √ | √ | √ | √ | √ |
| BUSA 6102 | ფინანსური აღრიცხვა I | ს | 6 (II) | √ | √ | √ | √ | √ | √ |
| BUSA 6103 | მიკროეკონომიკის პრინციპები | ს | 6 (II/III) | √ | √ | √ |  |  | √ |
| BUSA 6204 | მაკროეკონომიკის პრინციპები | ს | 6 (II/III) | √ | √ | √ |  | √ |  |
| BUSA 6205 | ფინანსური აღრიცხვა II | ს | 6 (III) | √ | √ | √ | √ | √ | √ |
| BUSA 6207 | კორპორაციული ფინანსები I | ს | 6 (IV) | √ | √ | √ | √ | √ |  |
| BA 6501 | მარკეტინგული დაგეგმვის საფუძვლები | ა | 6 (VI-VIII) | √ | √ |  | √ | √ | √ |
| BA 6502 | მომხმარებლის ქცევის საფუძვლები | ა | 6 (VI-VIII) | √ | √ | √ | √ |  | √ |
| BA 6503 | შესავალი წარმოებულ ფასიან ქაღალდებში | ა | 6 (VII/VIII) | √ | √ | √ | √ | √ |  |
| BA 6504 | ფინანსური ანალიზის საფუძვლები | ა | 6 (VI-VIII) | √ | √ | √ | √ |  |  |
| BA 6506 | კორპორატიული გარიგებების საფუძვლები | ა | 6 (VI-VIII) | √ | √ | √ | √ | √ | √ |
| BA 6507 | დისტრიბუციის არხების საფუძვლები | ა | 6 (VI-VIII) | √ | √ |  | √ |  |  |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| BA 6508 | სტრატეგიული და საერთაშორისო მენეჯმენტის შესავალი | ა | 6 (VI-VIII) | √ | √ | √ | √ | √ | |
| BA 6509 | ფინანსური ბაზრების შესავალი | ა | 6 (VI-VIII) | √ | √ | | | | |
| BA 6510 | შესავალი ეკონომეტრიკულ ანალიზში | ა | 6 (VI-VIII) | √ | √ | √ | √ | √ | |
| BA 6511 | გლობალური მარკეტინგის საფუძვლები | ა | 6 (VI-VIII) | √ | √ | | √ | | √ |
| BUSA 6209 | ადამიანური რესურსების მენეჯმენტი | ა | 6 (III/IV) | √ | √ | √ | | | |
| BUSA 6210 | გაყიდვების მენეჯმენტი | ა | 6 (IV/V) | √ | √ | √ | √ | | |
| BUSA 6208 | საერთაშორისო ბიზნესის შესავალი | ა | 6 (IV) | √ | √ | | √ | | |
| BUSA 6309 | კორპორაციული ფინანსები II | ა | 6 (V) | √ | √ | √ | √ | | |
| BUSA 6310 | ოპერაციებისა და პროცესების საფუძვლები | ა | 6 (V) | √ | √ | √ | | √ | |
| BUSA 6314 | საერთაშორისო ვაჭრობა | ა | 6 (VI-VIII) | √ | √ | √ | √ | | |
| BUSA 6315 | საერთაშორისო ფინანსები | ა | 6 (VI-VIII) | √ | √ | √ | √ | | |
| BIT 6313 | კვლევითი უნარები, მოდელირება და მონაცემთა ანალიზი | ა | 6 (V) | √ | √ | √ | | √ | |
| BUSA 6311 | მმართველობითი აღრიცხვის შესავალი | ა | 6 (V/VI) | √ | √ | √ | √ | √ | |
| BIT 6314 | პროექტების მართვა | ა | 6 (VI) | √ | √ | √ | | | |
| BUSA 6312 | მარკეტინგული კვლევის საფუძვლები | ა | 6 (VI) | √ | √ | √ | √ | √ | |
| BUSA 6313 | ინვესტიციები და შეფასება | ა | 6 (VI) | √ | √ | √ | √ | √ | |
| BUSA 6414 | შესავალი ბიზნესისა და მეწარმეობის დაგეგმვაში | ა | 6 (VIII) | √ | √ | √ | √ | √ | |
| BUSA 6415 | ბიზნეს ინკუბატორი | ა | 30 (VIII) | √ | √ | √ | √ | √ | √ |

**3.3** მისაღები დამატებითი კვალიფიკაციისთვის ინფორმაციულ ტექნოლოგიებში **(IT)**

| კოდი (პროგრამა–მოდული–კომპონენტი) | მოდულები და კომპონენტები: | სტატუსი (სავალდებულო/არჩევითი) | ECTS (სემესტრის მითითებით) | ცოდნა და გაცნობიერება | დასკვნის უნარი | კომუნიკაციის უნარი | ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | სწავლის უნარი | ღირებულებები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| IT 6101 | პროგრამირების შესავალი | ს | 6 (I) | √ | | | √ | √ | |
| IT 6102 | ოპერაციული სისტემების არქიტექტურა | ა | 6 (II) | √ | | | √ | √ | |
| IT 6103 | სტრუქტურული პროგრამირება | ა | 6 (II) | √ | √ | √ | √ | √ | √ |
| BIT 6208 | წრფივი პროგრამირება და ოპტიმიზაცია | ა | 6 (III) | √ | √ | √ | √ | √ | |
| IT 6204 | ობიექტზე ორიენტირებული პროგრამირება | ა | 6 (III) | √ | √ | √ | √ | √ | √ |
| IT 6205 | ალგორითმები | ა | 6 (III) | √ | √ | √ | √ | √ | √ |
| IT 6206 | რალაციურ მონაცემთა ბაზები | ა | 6 (IV) | √ | √ | √ | √ | √ | |
| IT 6207 | ქსელის კონცეფცია | ა | 6 (IV) | √ | | | √ | √ | |
| IT 6208 | რიცხვითი ანალიზი | ა | 6 (IV) | √ | √ | √ | √ | √ | |
| IT 6309 | მაღალტექნოლოგიური პროგრამირება | ა | 6 (V) | √ | | √ | √ | √ | |
| IT 6310 | მონაცემთა ბაზების ადმინისტრირება | ა | 6 (V) | √ | | | √ | √ | |
| IT 6311 | მონაცემთა სტრუქტურები | ა | 6 (V) | √ | √ | √ | √ | √ | √ |
| IT 6312 | დიგიტალური სამართალი | ა | 6 (V) | √ | √ | √ | √ | √ | √ |
| IT 6313 | აპარატურაზე ორიენტირებული პროგრამირება | ა | 6 (VI) | √ | | √ | √ | √ | |
| IT 6314 | ვებტექნოლოგიები | ა | 6 (VI) | √ | | √ | √ | √ | |
| IT 6315 | კრიპტოგრაფია | ა | 6 (VI) | √ | √ | √ | √ | √ | √ |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| IT 6316 | სისტემური პროგრამირება | ა | 6 (VI) | √ | | | √ | √ | |
| IT 6317 | ვებდეველოპმენტი | ა | 6 (VII) | √ | | √ | √ | √ | |

### 3.4 დამატებითი კვალიფიკაციისთვის საერთაშორისო სამართალში (IL)

| კოდი (პროგრამა–მოდული–კომპონენტი) | მოდულები და კომპონენტები: | სტატუსი (სავალდებულო/არჩევითი) | ECTS (სემესტრის შეთავაზება სტუდენტის | ცოდნა და გაცნობიერება | დასკვნის უნარი | კომუნიკაციის უნარი | ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | სწავლის უნარი | ღირებულებები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| IR 0104 | საერთაშორისო სამართალი | ს | 6 (III) | √ | √ | √ | √ | √ | |
| IL 0101 | შედარებითი საკონსტიტუციო სამართალი | ა | 6 (IV) | √ | √ | √ | √ | √ | √ |
| IL 0102 | ადამიანის უფლებები | ა | 6 (V) | √ | √ | √ | √ | | √ |
| IL 0103 | შედარებითი ადმინისტრაციული სამართალი | ა | 6 (VI) | √ | √ | | √ | | √ |
| IL 0201 | შედარებითი სახელშეკრულებო სამართალი | ა | 6 (V) | √ | √ | √ | √ | √ | √ |
| IL 0202 | საერთაშორისო კერძო სამართალი | ა | 6 (VI) | √ | √ | | √ | | |
| IL 0203 | საერთაშორისო სავაჭრო დავების განხილვა | ა | 6 (VII) | √ | | √ | √ | | √ |
| IL 0301 | ევროპული კავშირის სამართალი | ა | 6 (V) | √ | √ | √ | √ | √ | |
| IL 0302 | საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი | ა | 6 (VI) | √ | √ | | √ | | |
| IL 0303 | საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართალი | ა | 6 (VII) | √ | √ | | | | |
| IL 0304 | საერთაშორისო საზღვაო სამართალი | ა | 6 (VIII) | √ | √ | √ | √ | √ | |

## 3.5 მისაღები დამატებითი კვალიფიკაციისთვის საერთაშორისო პოლიტიკაში (PO)

| კოდი (პროგრამა–მოდული–კომპონენტი) | მოდულები და კომპონენტები: | სტატუსი (სავალდებულო/არჩევითი) | ECTS (სემესტრის შეთავაზება [illegible]) | ცოდნა და გაცნობიერება | დასკვნის უნარი | კომუნიკაციის უნარი | ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | სწავლის უნარი | ღირებულებები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| PO 0101 | შესავალი პოლიტიკაში | ს | 6 (I) | √ | √ | √ | √ | √ | √ |
| PO 0102 | შედარებითი პოლიტიკა | ა | 6 (II) | √ | √ | √ | | √ | |
| PO 0103 | პოლიტიკური იდეოლოგიები | ა | 6 (III) | √ | √ | √ | √ | √ | √ |
| PO 0201 | პოლიტიკური კომუნიკაცია | ა | 6 (IV) | √ | √ | √ | √ | √ | √ |
| PO 0205 | ევროპული ინტეგრაცია | ა | 6 (VI) | √ | √ | √ | | √ | √ |
| PO 0204 | პარტიების შედარებითი პოლიტიკა და პარტიული სისტემები | ა | 6 (VI) | √ | √ | √ | | √ | √ |
| PO 0105 | საჯარო პოლიტიკა | ა | 6 (IV) | √ | √ | √ | √ | √ | √ |
| PO 0203 | სამოქალაქო საზოგადოება | ა | 6 (V) | √ | √ | √ | √ | √ | √ |
| PO 0202 | ლიდერობა და ეთიკა სახელმწიფო მმართველობაში | ა | 6 (V) | √ | √ | √ | √ | | √ |
| PO 0104 | შესავალი საჯარო ადმინისტრირებაში | ა | 6 (III) | √ | √ | √ | √ | √ | √ |
| PO 0301 | კვლევითი პროექტი/ნაშრომი პოლიტიკაში | ა | 18 (VIII) | √ | √ | √ | √ | √ | √ |

## 3.6 მისაღები დამატებითი კვალიფიკაციისთვის საერთაშორისო ურთიერთობებში (IR)

| კოდი (პროგრამა–მოდული–კომპონენტი) | მოდულები და კომპონენტები: | სტატუსი (სავალდებულო/არჩევითი) | ECTS (სემესტრის შეთავაზება [illegible]) | ცოდნა და გაცნობიერება | დასკვნის უნარი | კომუნიკაციის უნარი | ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | სწავლის უნარი | ღირებულებები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| IR 0101 | შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში | ს | 6 (I) | √ | √ | √ | √ | √ | √ |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| IR 0105 | საერთაშორისო ურთიერთობების პოლიტიკური ეკონომიკა | ა | 6 (IV) | √ | √ | √ | √ | √ | |
| IR 0106 | საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია | ა | 6 (IV) | √ | √ | √ | √ | | √ |
| IR 0201 | საერთაშორისო კონფლიქტების ანალიზი და გადაჭრა | ა | 6 (V) | √ | √ | √ | | √ | √ |
| IR 0103 | საერთაშორისო ორგანიზაციები | ა | 6 (III) | √ | √ | √ | | | |
| IR 0102 | მსოფლიო პოლიტიკა | ა | 6 (II) | √ | √ | √ | √ | | |
| IR 0202 | გეოპოლიტიკა | ა | 6 (V) | √ | √ | √ | | √ | |
| IR 0203 | საერთაშორისო უსაფრთხოება | ა | 6 (VI) | √ | √ | | √ | √ | |
| IR 0204 | საქართველოს საგარეო პოლიტიკა | ა | 6 (VI) | √ | √ | √ | √ | | |
| IR 0205 | შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა | ა | 6 (VII) | √ | √ | √ | √ | √ | |
| IR 0301 | კვლევითი პროექტი/ნაშრომი საერთაშორისო ურთიერთობებში | ა | 18 (VIII) | √ | √ | √ | √ | √ | √ |

**სხვა ან დეტალურად:**

მიუთითეთ, ყველაზე მეტად რომელი უნარების განვითარებას ემსახურება პროგრამა, შეარჩიეთ მინიმუმ 5 (მაქსიმუმ 10) ქვემოთ მოცემული ჩამონათვალიდან.

| | | | |
|---|---|---|---|
| ანალიტიკური უნარები | √ | ლიდერობა | |
| კომერციული აზროვნება | √ | დაგეგმვა და ორგანიზება | √ |
| თავდაჯერებულობა | | პროფესიონალიზმი | |
| პრობლემების გადაჭრისადმი კრეატიული მიდგომა | √ | კვლევის უნარი | √ |
| კრიტიკული აზროვნება | √ | თვითრეალიზაცია | √ |
| ეთიკური ნორმების გაცნობიერება | | სოციალური და კულტურული მრავალფეროვნების აღქმა | |
| მოქნილობა | | გუნდური მუშაობა | √ |

| | | | |
|---|---|---|---|
| დამოუკიდებელი მუშაობა | | დროის მენეჯმენტი | √ |
| ინიციატივა | | ინტერპერსონალური უნარები | |
| სწავლის უნარი | √ | სწავლების უნარი | |

NEW VISION UNIVERSITY

## 4. სწავლის შედეგების მიღწევის გზები და შეფასება:

### კავშირი გამოყენებულ მეთოდებსა და სწავლის შედეგების მიღწევას შორის:

ძირითადი კურსებისაგან შემდგარი მყარი საფუძველი სტუდენტებს უზრუნველყოფს ასევე მყარი საფუძვლით ბიზნესის/მენეჯმენტის, სოციალური მეცნიერების, კომუნიკაციისა თუ ტექნიკის სხვადასხვა სფეროში, აფართოებს სხვადასხვა მიმართულებებისა თუ ქვემიმართულებების აღქმას. ძირითადი კურსების შეთავაზება მთელი პროგრამის განმავლობაში ხდება, რაც სტუდენტებს საკუთარი ცოდნისა და უნარების (როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული) ფორმირების საშუალებას აძლევს, რათა მომავალში წარმატებით დასაქმდნენ სხვადასხვა ორგანიზაციებსა და საწარმოებში.

არჩევითი კურსები აუცილებელია პროფესიული კომპეტენციების, ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოსაყალიბებლად ბიზნესის ადმინისტრირებაში და აგრეთვე, მათი მიზნობრივი ათვისებით სტუდენტებს საშუალება ეძლევათ მიიღონ დამატებითი კვალიფიკაცია ინფორმატიკაში, საერთაშორისო სამართალში თუ სხვა მიმართულებაში და გაიფართოონ კომპეტენციები შერჩეულ მომიჯნავე სფეროებში.

პროგრამა ხელს უწყობს როგორც კვლევითი, ისე მენეჯერული/პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას გამოყენებული სწავლების მეთოდების მეშვეობით, რომელიც ემყარება ინტერაქტიული სწავლებისა (მათ შორის საკლასო განხილვების) და დამოუკიდებელი ინდივიდუალური და ჯგუფური სწავლის ხელშეწყობის ნაზავს. ყოველივე ეს ხდება თეორიული კომპონენტების, პრობლემების გადაჭრისა და პრაქტიკული გამოცდილების კომბინირების გზით, რაც მიზნად ისახავს წარმატებული თვითრეალიზაციისა და მენეჯერულ/სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობისათვის აუცილებელი ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და ღირებულებების განვითარებას, მუდმივად ცვალებადი ბიზნესგარემოსა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად.

### შეფასების სისტემა:

| ქულათა მაქსიმალური რაოდენობა | შეფასება (მოკლე აღწერილობა) | სტუდენტების შედეგების საშუალო პროცენტული მაჩვენებელი (შეიძლება გამოყენებულ იქნეს შეფასების ადეკვატურობის მონიტორინგის მიზნით) |
|---|---|---|
| 91-100 | A (ფრიადი) | საუკეთესო – 10% |
| 81-90 | B (ძალიან კარგი) | საშუალოზე მაღალი – 20 % |
| 71-80 | C (კარგი) | საშუალო – 30 % |
| 61-70 | D (დამაკმაყოფილებელი) | საშუალოსთან მიახლოებული – 20% |
| 51-60 | E (საკმარისი) | ყველაზე დაბალი მაჩვენებელი – 10% |
| 41-50 | FX (ვერ ჩააბარა, ეძლევა გამოცდაზე ხელახლა გასვლის უფლება) | |
| 0-40 | F (ჩაიჭრა) | |

## 5. რესურსები

**პროგრამის განსახორციელებლად აუცილებელი რესურსები:**

| სახელწოდება: | აღწერილობა: |
| --- | --- |
| ლიტერატურა | ხელმისაწვდომია საბიბლიოთეკო რესურსები (ელექტრონული ლიტერატურის ჩათვლით) |